სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება № 01-04/16

ქ. ქუთაისი

2 მარტი 2020 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 01-04/7, 30.01.2020 წლის ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ვადების ცვლილების შესახებ

ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

შეტანილ იქნას ცვლილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 01-04/7, 30.01.2020 წლის ბრძანებაში. კერძოდ:

1. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება განხორციელდეს 2020 წლის 9 მარტიდან 2020 წლის 13 მარტის ჩათვლით. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 09:00 საათიდან - 17:00 საათამდე (უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული. ოთახი № 1107.
2. კონკურსი ჩატარდეს 2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 28 მარტის ჩათვლით (მათ შორის, 27 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით - გასაუბრება). გასაუბრება ჩატარდება. უნივერსიტეტის კორპუსებში.
3. სააპელაციო განცხადებების მიღება იწარმოებს 2020 წლის 30 მარტიდან 2020 წლის 01 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული. ოთახი № 1107, 09:00 საათიდან - 17:00 საათამდე.

4. ამ ბრძანებით განსაზღვრულ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსით შერჩეულ პირებთან გაფორმდეს ვადიანი ხელშეკრულებები. კერძოდ:
   ა) პროფესორი - 6 წლის ვადით, 2020 წლის 6 აპრილიდან 2026 წლის 1 სექტემბრამდე;
   ბ) ასოცირებული პროფესორი - 2020 წლის 6 აპრილიდან 2026 წლის 1 სექტემბრამდე;
   გ) ასისტენტ-პროფესორი 4 წლის ვადით, 2020 წლის 6 აპრილიდან 2024 წლის 1 სექტემბრამდე;
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი".
6. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**